



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011748368698221

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

118540

19 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 125061/17; **თარიღი:** 17.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: ალექსანდრ სტეფანიანის (პირადი ნომერი 22001018220) წარმომადგენელი ელზა ლუქუნიძე (პირადი ნომერი 28001073901).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებების გამომცემი ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში - „საჯარო რეესტრი“) ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი (შემდგომში - „ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილებები: სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ №882021055357-11 (11.03.2021 წ.) და რეგისტრაციის შესახებ №882019655080-08 (18.10.2019 წ.) გადაწყვეტილებები.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა: გასაჩივრებული გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა და სარეგისტრაციო მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარედ ჩართული პირი: ნარინე მაზმანიანი (პირადი ნომერი 22001012867).

უძრავი ნივთის მისამართი: თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი სამშვილდე.

№125061/17 (17.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ის პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის, რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილების გასაჩივრება არ აჩერებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მოქმედებას.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, რეგისტრაციის შესახებ № 882019655080-08 (18.10.2019 წ.) გადაწყვეტილებით, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამშვილდეში მდებარე 1099 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 84.12.38.154) დარეგისტრირდა ნარინე მაზმანიანის (პირადი ნომერი 22001012867) საკუთრების უფლება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგინდა დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომელიც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგინდა წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ვ ე ბ ა :

1. მიღებულ იქნეს წარმოებაში ალექსანდრ სტეფანიანის (პირადი ნომერი 22001018220) წარმომადგენლის ელზა ლუქუნუიძის (პირადი ნომერი 28001073901) № 125061/17 (17.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი;
2. № 125061/17 (17.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ იქნეს ნარინე მაზმანიანი (პირადი ნომერი 22001012867);
3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ ქვემო ქართლის რეგიონულ ოფისს და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს;
4. დაინტერესებულ მხარეს განემარტოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით;
5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლსა (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. №2) და თეთრიწყაროს საზოგადოებრივ ცენტრში და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა;
6. წინამდებარე გადაწყვეტილება, ასევე, საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge;
7. გადაწყვეტილება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
შტამბდასმულია
ელექტრონულად 

დავით დევიძე